# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
**ვალის პატიების შესახებ**

ქ. ________________ ______._____.202___

**შპს „______________________“** (ს/ნ _____________), შემდეგში წოდებული როგორც - **„მევალე“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის - ___________ ____________-ის (პ/ნ _______________) სახით, ერთის მხრივ და **ფ/პ** _________ ___________ (პ/ნ ____________), შემდეგში წოდებული როგორც -**„მოვალე“**, მეორეს მხრივ, **„მევალე“** და **„მოვალე“** ერთად წოდებულნი როგორც - **„მხარეები“**, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ

- **„მოვალეს“** გააჩნია ფულადი ვალდებულება (შემდეგში - **„ვალი“**) **„მევალის“** მიმართ, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტში შეადგენს - ______ ლარს,
- **„ვალი“** მთლიანად წარმოადგენს **„მევალის“** მიერ **„მოვალისათვის“** 202__ წელს მიწოდებული საქონლის ღირებულების გადაუხდელ ნაწილს,
- **„მევალეს“** გააჩნია სურვილი **„მოვალეს“** სრულად აპატიოს **„ვალი“**,

ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ხელშეკრულება“**) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **„მევალე“** უსასყიდლოდ, სრულად პატიობს **„მოვალეს“ „ვალს“** - ______ ლარის ოდენობით;

1.2. **„ხელშეკრულების“** 1.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალის პატიების შემდეგ **„მოვალის“** ფულადი ვალდებულება **(„ვალი“) „მევალის“** მიმართ (**„ვალის“** პატიების შემდეგ) შეადგენს - **0 ლარს**.

__________________ „მევალე“ ________________ „მოვალე“

## 2. „მხარეთა“ ახსნა-განმარტებები

2.1. **„მხარეები“** თანხმდებიან, რომ

2.1.1. **„ვალი“** ნაპატიებად ჩაითვლება **„მხარეთა“** მიერ **„ხელშეკრულების“** ხელმოწერისთანავე;

2.1.2. **„ვალის“** პატიების მომენტიდან **„მევალე“** კარგავს ყოველგვარ უფლებას **„ვალზე“** და აღნიშნული უფლება აღდგენას აღარ ექვემდებარება.

| | |
|---|---|
| **„მევალე“:**<br>**შპს _______________ (ს/ნ ___________)** | **„მოვალე“:**<br>**ფ/პ ___________ _________ (პ/ნ _____________)** |
| ______________________ (დირექტორი)<br>**___________ __________ (პ/ნ ______________)** | ______________________<br>**___________ __________ (პ/ნ ______________)** |